
სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

სესხის ხელშეკრულება

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – №2/ბ-03

ზურაბ ძლიერიშვილი*

I. აღწერილობითი ნაწილი

2001 წლის 5 სექტემბერს ე.ბ-ძემ და თ.კ-მა (შემდგომში „მოსარჩელები“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ.ბ-ძის (შემდგომში „მოპასუხე“) წინააღმდეგ სესხის დაბრუნების თაობაზე. მოსარჩელების განმარტებით, 2000 წლის 23 აგვისტოს ე.ბ-ძემ მოპასუხეს ასესხა 8000 აშშ-ის დოლარი ყოველთვიურად 5%-ის დარიცხვით, 2000 წლის 7 სექტემბერს კი თ.კ-მა 6000 აშშ-ის დოლარი თვიური 5%-ის დარიცხვით. იმავე წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ კვლავ ისესხა ე.ბ-ძისაგან 2000 აშშ-ის დოლარი 10%-ის დარიცხვით. გასესხებული 8000 აშშ-ის დოლარიდან ე.ბ-ძემ პროცენტის სახით პირველ თვეს მიიღო 400 აშშ-ის დოლარი, რის შემდეგ მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა აღარ დაუბრუნებია. 2001 წლის 22 აგვისტოს მოპასუხემ შეადგინა ხელწერილი, რომლითაც მოსარჩელებს დაჰპირდა კუთვნილი თანხების, სულ 20500 აშშ-ის დოლარის, დაბრუნებას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელებმა ზემოთ ხსენებული თანხები დააბანდეს საერთო საქმიანობაში, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, ხოლო წარმოდგენილი ხელწერილიდან არ დასტურდება სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა მოსარჩელების გამოსახლება თავისი ბინიდან, რომელშიც ისინი თვითნებურად შეიჭრნენ. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით ე.ბ-ძემ და თ.კ-მა განმარტეს, რომ სადავო ბინაში ისინი შეუშვა თავად ნ.ბ-ძემ, ვინაიდან სესხის მისაცემად მათ გაყიდეს ბინები და დარჩნენ საცხოვრებლის გარეშე.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე და 625-ე მუხლებით და მოპასუხის მიერ შედგენილი ხელწერილის საფუძველზე მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა დადგენილად მიიჩნია.

სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით და მოპასუხის შეგებებული სარჩელი მოსარჩელების მისი ბინიდან გამოსახლების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია. რაიონულმა სასამართლომ განსაზღვრა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების წესიც, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელების სასარგებლოდ სესხის – 20 500 აშშ-ის დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში გადახდა და ქ.თბილისში, გ-ძის ქუჩა 22-დან მოსარჩელების გამოსახლება მოხდეს ერთდროულად.

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

რაიონული სასამართლოს შემოსენებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 20 500 აშშ-ის დოლარის დაკისრების ნაწილში ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მოსარჩელებმა სააპელაციო საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

II. სამოტივაციო ნაწილი

სააპელაციო საჩივრის განხილვისა და გაანალიზების, საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სააპელაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს და სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი არ ითვლება მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან მასში სესხის ხელშეკრულების არსებობა მოხსენიებული არ არის. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება 2000 წლის აგვისტო-სექტემბერში მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ გარიგების დადება, რისთვისაც ე.ბ-ქმ შეიტანა 8 000 აშშ-ის დოლარი, ხოლო თ.კ-მა 6 000 აშშ-ის დოლარი. ერთობლივი საქმიანობის ვადად განისაზღვრა 2001 წლის მარტი. სააპელაციო პალატა თვლის, რომ, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მიხედვით, საერთო საქმიანობის უფლება მინიჭებული ჰქონდა მოპასუხეს. პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ერთობლივი საქმიანობა მოპასუხის ხელმძღვანელობით ვერ განხორციელდა და შეწყდა ვადაზე ადრე, 2001 წლის იანვარში, რა დროისათვისაც თანხამ შეადგინა 20500 აშშ-ის დოლარი.

III. სარეზოლუციო ნაწილი

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 384-ე მუხლით, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 389-ე მუხლით, სამოქალაქო კოდექსის 931-ე, 932-ე, 934-ე მუხლებით, 715-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და გადაწყვიტა:

1. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს;

2. დაეკისროს მოპასუხეს ე.ბ-ძის სასარგებლოდ 8000 აშშ-ის დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო თ.კ-ძის სასარგებლოდ – 8000 აშშ-ის დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

IV. კომენტარი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 21 ნოემბრის №2/ბ-03 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ანდა გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ დავის გადაწყვეტისას დადგინდა ცნო და მხარეებსაც სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა 2000 წლის აგვისტო-სექტემბერში მოპასუხეს გადასცეს 8 000 აშშ-ის დოლარი და 6 000 აშშ-ის დოლარი 2001 წლის მარტამდე 5%-იანი სარგებლით. ზემოთ ხსენებული გარემოების დადგენისას საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა დაეყრდნო მხარეთა მიერ შედგენილ ხელწერილს და იგი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად მიიჩნია, რაც სრულიად უსაფუძვლოა. ხელწერილში მინიშნება საერთო საქმეზე უდავოდ არის, თუმცა მხოლოდ ამ ტერმინის გამოყენება ერთობლივ საქმიანობად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ერთობლივი საქმიანობის უპირველესი მახასიათებელი ის არის, რომ მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა კონკრეტული საერთო მიზნის მისაღწევად ხდება, რაც საბოლოოდ ხელშეკრულების საგანში აისახება. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებით იურიდიული პირის შესაქმნელად. მოდავე მხარეების მიერ შედგენილი ხელწერილი და საქმის მასალები რაიმე საერთო მიზნის არსებობაზე არაფერს მიანიშნებს. სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ ხელშეკრულებათა დადების თავისუფლება სულაც არ ნიშნავს კანონის იმპერატიული ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფას. ამასთან, მოპასუხეები უარყოფენ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმების არსებობას, შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას საფუძვლად არ უდევს მხარეთა ნების გამოვლენა ამხანაგობად გაერთიანების შესახებ და ინტერესი საერთო მიზნის მისაღწევად. ამდენად, სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მოსაწესრიგებელ დავას და არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 931-ე და 934-ე მუხლები.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელწერილი არ შეიცავს ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების აღიარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მასში სესხის არსებობაზე მითითებული არ არის. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ ხელწერილის შინაარსი სწორედ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით არსებული სესხის სამართლებრივ ურთიერთობას ადგენს. კერძოდ, ხელწერილის შესაბამისად, 2001 წლის 22 აგვისტოს მხარეთა მიერ აღიარებულია შემდეგი ფაქტები: 200 წლის აგვისტო-სექტემბერში მოპასუხის მიერ მოსარჩელებისაგან 8000 და 6000 აშშ-ის დოლარის გარკვეული ვადით – 2001 წლის მარტამდე მიღება, თანხის სასყიდლიანობისა და მისი გამცემი პირისათვის დაბრუნების ვალდებულება, რაზეც მტყვევებს გამოთქმა: „დაიფაროს იგი თანდათანობით, შესაძლებლობის მიხედვით“. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ხელწერილის ნამდვილობა მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია. ფაქტების ჩამონათვალი უტყუარად ადგენს სასესხო ურთიერთობას, რაც გამყარებულია საქმეში არსებული ვადის არსებობის მამტიკიცებელი ხელწერილით. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, იმ

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი ფორმა.

სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა ასევე სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც, რომლის თანახმადაც, რწმუნებული მოვალეა, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და ამისათვის არ გამოიყენა აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. დავა გამომდინარეობს სესხის ხელშეკრულებიდან და მის მოსაწესრიგებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დავალების ხელშეკრულების ნორმები.

ამდენად, ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2003 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/ბ-03 მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევით, კერძოდ:

– სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 931-ე, 934-ე მუხლები, 715-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; და

– არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 624-ე, 625-ე მუხლები, 341-ე მუხლი.